

შპს "ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში "

მსს ფასს ფინანსური ანგარიშგება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორების დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	5
სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9
1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძველი	10
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
a. ძირითადი საშუალებები	11
b. არამატერიალური აქტივები	12
c. სასაქონლო-მატერიალური მარაგები	13
d. ფინანსური აქტივები	13
e. საწესდებო კაპიტალი	15
f. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16
g. შემოსავლების აღიარება	16
h. ფინანსური შემოსავლები	16
i. გადასახადები	17
j. სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა	18
4-21. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	21-30
22. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები	30
23. გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	31
24. სასამართლო დავები	32


აუდიტ-ცენტრი 2007

0160, თბილისი, 26 მაისის მოედანი №2

V სართული

ტელ: 294-16-03; 236-37-43

E-mail: g_kakh@yahoo.com

**AUDIT-CENTER 2007**

№ 1/19 " 6 " მაისი 2019 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

**შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო“-ს
2017 წლის პერიოდის ფინანსური ანგარიშგების თაობაზე**

შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს
მენეჯმენტს

მოსაზრება,

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღვრიცხო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან და მართვლობითი ანგარიშგებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით უტყუარად და სამართლიანად ასახავს შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში“-ს ფინანსურ მდგომარეობას 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ების) შესაბამისად.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ამ ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას.

რეგისტრირებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის რეესტრში (<https://saras.gov.ge/>), სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-139402

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერ ჩატარებულ აუდიტზე დაყრდნობით გამოვთქვით მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (მსს-ფასს) შესაბამისად. ეს სტანდარტები მოითხოვს, რომ ჩვენი სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მივიღოთ უტყუარი რწმუნება იმისა, რომ ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს არსებით უზუსტობებს.

აუდიტი მოიცავს გარკვეული პროცედურების ჩატარებას ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებსა და განმარტებებზე აუდიტორული მტკიცებულების მოსაპოვებლად. შერჩეული პროცედურები დამოკიდებულია აუდიტორის პროფესიულ მსჯელობაზე, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებებში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკის შეფასებას.

არსებული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების შემუშავებისთვის, მაგრამ არა ორგანიზაციის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე დასკვნის გაკეთების მიზნით, აუდიტორი რისკის შეფასებისას ითვალისწინებს შიდა კონტროლის სისტემებს, რომლებიც საჭიროა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და სამართლიანი წარდგენისათვის. აუდიტი ასევე ითვალისწინებს გამოყენებული ბუღალტრული პოლიტიკისა და ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული ბუღალტრული შეფასებების შესაფერისობის შეფასებასა და ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას მთლიანობაში.

სხვა ინფორმაცია

მმართველობით ანგარიშგებაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა, ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება მმართველობის ანგარიშგების „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ნაწილების ამ კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე. ასევე განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც აუდიტის პერიოდში მოვიპოვეთ, აუდიტის დასკვნისათვის საკმარის და მართებულ საფუძველს წარმოადგენს.

ასევე მიგვაჩნია, რომ მმართველობის ანგარიშგების კანონით განსაზღვრული ნაწილები შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

შპს „აუდიტ-ცენტრის“
სერთიფიცირებული აუდიტორი



გიორგი
კახეთელიძე

შპს "ჩაინა ნუქლეარ ინდუსტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში"

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

აქტივები	შენიშ- ვნები	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	9 807	11 036	11 478
არამატერიალური აქტივები	5	10	11	12
გადავადებული საგადასახადო აქტივები				
სულ გრძელვადიანი აქტივები		9 816	11 046	11 489
მოკლევადიანი აქტივები				
სასაქონლო მატერიალური მარაგები	6	499	424	910
გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები	7	317	355	189
საგადასახადო მოთხოვნები				
დებიტორული დავალიანებები	8	1 101	2 777	8 029
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	6 818	7 910	6 440
სულ მოკლევადიანი აქტივები		8 735	11 464	15 568
სულ აქტივები		18 552	22 511	27 057
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები				
საკუთარი კაპიტალი და რეზერვები				
საწესდებო კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება / აკუმულირებული ზარალი	10	(71 447)	(72 742)	(63 643)
სულ საკუთარი კაპიტალი და რეზერვები		(71 447)	(72 742)	(63 643)
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები სათაო ოფისთან	11	89 964	94 438	89 090
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები				
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		89 964	94 438	89 090



შპს "ჩაინა ნუქლეარ ინდუსტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში "

ფინანსური ანგარიშგება

მოკლევადიანი ვალდებულებები

კრედიტორული დავალიანებები	<u>12</u>	94	210	1 725
საგადასახადო ვალდებულებები	<u>13</u>	(60)	605	(115)
მიღებული ავანსები და სხვა მიმდინარე ვალდებულებები		-	-	-

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	35	816	1 610
---------------------------------------	-----------	------------	--------------

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	18 552	22 511	27 057
---	---------------	---------------	---------------

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 15 აპრილს.

დირექტორი ვანგ ჰუ



მე-10-33 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	2017	2016
საოპერაციო შემოსავალი	14	5 723.29	10 127.77
საპროცენტო შემოსავალი	15	271.31	371.21
სხვა შემოსავალი	16	135.85	15.45
		-	-
სულ შემოსავალი		6 130.45	10 514.42
შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	17	4 117	6 936
ტრანსპორტირებისა და გადაცემის ხარჯი		18	4
დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	18	1 734	2 335
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	19	540	912
ცვეთა და ამორტიზაცია		1 156	1 135
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	20	2	62
სულ ხარჯები		7 567	11 384
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული მოგება		(1 436)	(869)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	21	2 732	(8 230)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		1 295.30	(9 099.48)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება / ზარალი		1 295.30	(9 099.48)

მე-10-33 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

ჯგუფი	შენიშ- ვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 1 იანვარი 2016 წ.			(63 643)	(63 643)
ახალი ან განახლებული სტანდარტების მიღების ეფექტი				-
გამოვლენილი შეცდომების შესწორების ეფექტი				-
დაკორექტირებული ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 1 იანვარი 2016 წ.			(63 643)	(63 643)
მოგება/(ზარალი)			(9 099)	(9 099)
სხვა სრული				-
შემოსავალი/(ზარალი)				
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)			(9 099)	(9 099)
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2016 წელი			(72 742)	(72 742)
მოგება/(ზარალი)			1 295	1 295
სხვა სრული				-
შემოსავალი/(ზარალი)				
მთლიანი სრული შემოსავალი/(ზარალი)			1 295	1 295
ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღისთვის - 2017 წელი			(71 447)	(71 447)

მე-10-33 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშ- ვნები	2017	2016
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		1 295	(9 099)
კორექტირებები დასაბეგრი მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შეჯერების მიზნით: დებიტორული ანგარიშების ცვლილება		1 675	5 253
სასაქონლო მატერიალური მარაგების ცვლილება		(76)	486
გადახდილი ავანსების ცვლილება		38	(166)
კრედიტორული ანგარიშების ცვლილება		(116)	(1 515)
გადასახდელი გადასახადების ცვლილება		(665)	720
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2 152	(4 321)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების ცვლილება		1 229	442
არამატერიალური აქტივების ცვლილება		1	1
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		1 230	443
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გრძელვადიანი ვალდებულებების ცვლილება		(4 473)	5 348
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		(4 473)	5 348
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		(1 091)	1 470
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში		7 910	6 440
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს		6 818	7 910

მე-10-33 გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “ (შემდგომში - „კომპანია“) არის 2012 წლის 20 ივლისს დაფუძნებული უცხოური საწარმოს ფილიალი, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჯავის ქ. N 5. ფილიალის დამფუძნებელი და სრული მფლობელია ჩინეთში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო, 10432201-2, 130000100000296, 01.11.1958.

შპს “ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “ ძირითადი საქმიანობა საქართველოში სხვადასხვა სახისა და მოცულობის სამშენებლო პროექტების განხორციელებაა.

2. მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „ფასს“) პირველად გამოყენება

2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება პირველი ანგარიშგებაა, რომელიც კომპანიამ მსს ფასს-ის მიხედვით მოამზადა. შესაბამისად, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია სათანადო მსს ფასს-ების მოთხოვნათა დაცვით პირველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, 2017 წლის 31 დეკემბრისთვის, შესაბამისი პერიოდის შედარებად მონაცემებთან ერთად 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდომარეობით და 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრისათვის. კომპანიას არ წარუდგენია წინა პერიოდების ფინანსური ანგარიშგებები. შესაბამისად, წარმოდგენილი არ არის წინა პერიოდებში წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებებთან შეჯერების მონაცემები. კომპანიას არ გამოუყენებია ფასს 1-ით დაშვებული რეტროსპექტულად გამოყენების გამონაკლისები.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

აქტივებისა და ვალდებულებების კლასიფიკაცია მოკლევადიანად და გრძელვადიანად

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიკაციის საფუძველზე. აქტივი მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი რეალიზება ან გადაწყვეტილია მისი გაყიდვა ან მოხმარება ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- მოსალოდნელია მისი რეალიზება ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- აქტივი წარმოადგენს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, თუ არ არის შეზღუდული მისი გადაცემა ან გამოყენება ვალდებულების დასაფარად მინიმუმ თორმეტი თვის განმავლობაში ანგარიშგების პერიოდის შემდეგ

ყველა დანარჩენი აქტივი გრძელვადიანია.

ვალდებულება მოკლევადიანია, როდესაც:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში
- ფლობის ძირითადი მიზანია ვაჭრობა
- დასაფარია ანგარიშგების პერიოდიდან თორმეტი თვის განმავლობაში, ან
- ანგარიშგების პერიოდის შემდეგ ვალდებულების დაფარვის მინიმუმ თორმეტი თვით გადავადების უპირობო უფლება არ არსებობს.

ყველა დანარჩენ ვალდებულებას კომპანია „გრძელვადიანის“ კატეგორიას მიაკუთვნებს. გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები მიეკუთვნება გრძელვადიან აქტივებსა და ვალდებულებებს.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან

დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი შეფასებითი მაჩვენებლების მიხედვით:

	წელი
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	10
ყალიბები	5
ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე მოწყობილობები	5
მსუბუქი ავტომობილები	7
სხვა სატრანსპორტო საშუალებები	10
სხვა აღჭურვილობა	10

აქტივების ნარჩენი ღირებულებისა და სასარგებლო მომსახურების ვადის გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ხდება ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის.

აღჭურვილობა და სათადარიგო ნაწილები შესაძლებელია მოიცავდეს მოხსნილ (დეინსტალირებულ) ძირითად სათადარიგო ნაწილებს. ასეთ აქტივებს ერიცხება ცვეთა, ვინაიდან ისინი დამონტაჟებულნი არიან არსებულ აღჭურვილობაზე.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რომელშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფას.

არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღრიცხვა გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზებულია ეკონომიკური

სასარგებლო მომსახურების ათ წლამდე ვადის განმავლობაში და მათი შეფასება გაუფასურებასთან მიმართებაში ხდება გაუფასურების ნიშნების არსებობისას.

კომპიუტერული პროგრამების მხარდაჭერასთან დაკავშირებული დანახარჯები მათი გაწევისთანავე აღირიცხება ხარჯების ნაწილში. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების ხარჯების (რომლებიც დაკავშირებულია ახალი ან არსებითად გაუმჯობესებული კომპიუტერული პროგრამის შექმნასა და ტესტირებასთან) აღიარება ხდება არამატერიალური აქტივების სახით მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიას შეუძლია აჩვენოს: პროგრამის დასრულების ტექნიკური შესაძლებლობა და რომ პროგრამა მზად იქნება გამოყენებისთვის ან გასაყიდად; მისი (კომპანიის) მიზანი, დაასრულოს და შესაძლებლობა, გამოიყენოს ან გაყიდოს აღნიშნული აქტივი; ასევე, როგორ მოახდენს აქტივი მომავალში ეკონომიკური სარგებლის მოტანას; პროგრამის დასრულებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობა და შესაძლებლობა, შესაძლებლობა, რომ მისაღები სიზუსტით შეფასდეს პროგრამის შემუშავების/შექმნის პროცესში გაწეული დანახარჯები. პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავებაზე გაწეული სხვა დანახარჯების აღრიცხვა მათი გაწევისთანავე ხდება სხვა ხარჯების ნაწილში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

სასაქონლო-მატერიალური მარაგები მოიცავს სამშენებლო მასალებს, ძირითადი საშუალებების სათადარიგო ნაწილებს, საცხებ-საპოხ მასალებსა და საწვავს. მათი შეფასება ხდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

ფინანსური აქტივები

ბასს 39-ის სტანდარტის შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი თავდაპირველი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები.

მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. აღნიშნული ინსტრუმენტები არ არის განკუთვნილი პირდაპირი ან მოკლევადიანი გადაყიდვისთვის, და არ არის კლასიფიცირებული, როგორც სავაჭრო ფასიანი ქაღალდები ან საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. აღნიშნული აქტივები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ თუ მიღებულ ყველა

საკომისიოს, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, გარიგების დანახარჯებისა და სხვა პრემიებისა თუ დისკონტების განუყოფელ ნაწილს.

მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება სამართლიან ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი.

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო საკრედიტო დანაკარგებისა, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად. აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომ პერიოდში გაუფასურების ზარალი იკლებს და კლება შესაძლებელია ობიექტურად დაკავშირებული იყოს გაუფასურების აღიარების შემდგომ დამდგარ მოვლენასთან, ხდება წინა პერიოდში აღიარებული გაუფასურების ზარალის შემობრუნება. შემდგომ პერიოდებში გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატება მის ამორტიზებული ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები იქვითება და წმინდა ოდენობის აღიარება ხდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც არსებობს აღიარებული ოდენობების გაქვითვის სამართლებრივად აღსრულებადი უფლება და ურთიერთგაქვითვის განზრახვა ან თანადროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების დაფარვის განზრახვა. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

ურთიერთგაქვითვის უფლების გამოყენება არ უნდა ხდებოდეს სამომავლო შემთხვევის დადგომის პირობით და ნებადართული უნდა იყოს:

- ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში;
- დეფოლტის შემთხვევაში; და
- კომპანიის და ყველა კონტრაგენტის არაკრედიტუნარიანობის ან გაკოტრების შემთხვევაში. ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუმცა წარმოდგენილია მაშინ, როდესაც ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

საწესდებო კაპიტალი

შპს “ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “არის უცხოური საწარმოს ფილიალი. კომპანიას არ აქვს განსაზღვრული ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით.

შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი ნულის ტოლია. 2017-2016 წლებში დივიდენდები არ გაცხადებულა და არც განაწილებულა. კომპანიას არ გააჩნია ფორმალური კაპიტალის მართვის პოლიტიკა.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვთ ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

შემოსავლების აღიარება

კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, სამშენებლო ტექნიკის იჯარით გაცემას, ტექნიკით მომსახურებას. შემოსავლის მიღება ხდება შესრულებული სამუშაოების ანდა მომსახურების საფასურის სახით, რომელიც განისაზღვრება შესრულებული სამუშაოების/მომსახურების საფასურის მიხედვით. შემოსავლის აღიარება ხდება შესაბამისი სამუშაოების დასრულების შემდეგ.

შემოსავალი აღიარდება იმის გათვალისწინებით, თუ სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოედინება და შემოსავალი შესაძლოა საიმედოდ იქნას შეფასებული. შემოსავლები მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით ფასდება, ნებისმიერი სავაჭრო ამონაგების, დისკონტირების, ფასდაკლებისა და დღგ-ის გამოკლებით.

შემოსავალი საქონლის გაყიდვიდან - აღიარდება როდესაც საქონლის მნიშვნელოვანი რისკები და საკუთრების ჯილდო გადაეცემა კლიენტს და კლიენტი მიიღებს მიწოდებას.

შემოსავალი გაწეული მომსახურებებიდან - აღიარდება მომსახურების გაწევის მომენტში.

შემოსავალი განისაზღვრება კლიენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში განსაზღვრული ანაზღაურების საფუძველზე და არ მოიცავს მესამე მხარეთა სახელით მოკრებილ თანხებს. კომპანია შემოსავალს აღიარებს მაშინ, როდესაც პროდუქტზე ან მომსახურებაზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს.

ფინანსური შემოსავალი - ფინანსური შემოსავალი და ხარჯები მოიცავს შემდეგს:

1. საპროცენტო შემოსავალი;
2. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება ან ზარალი ფინანსურ აქტივებსა და ფინანსურ ვალდებულებებზე;
3. სხვა ფინანსური ხარჯები.

საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული მოგება და ზარალი აღირიცხება წმინდა საფუძველზე როგორც ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური ხარჯი, იმის მიხედვით მოძრაობები უცხოურ ვალუტაში წმინდა მოგების პოზიციაშია, თუ წმინდა წაგების.

საპროცენტო შემოსავალი

ბანკის ანგარიშებზე არსებულ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყოველი საანგარიშო თვის მიხედვით ანგარიშზე თანხის დარიცხვის შესაბამისად.

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული და დებიტორული ანგარიშების სახით კლასიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს სავარაუდო მომავალ ფულად ნაკადებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში ან უფრო მოკლე პერიოდისთვის, რათა მიიღოს ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულება. საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

უცხოური ვალუტის გადაფასება

კომპანიის სამუშაო ვალუტა ქართული ლარია. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებული მოგება და ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგების ნაწილში.

სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსი 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო შემდეგი:

	<u>31 დეკემბერი</u>	<u>31 დეკემბერი</u>
	<u>2017</u>	<u>2016</u>
<u>ლარი/1 აშშ დოლარი</u>	<u>2.5922</u>	<u>2.6468</u>
<u>ლარი/1 ევრო</u>	<u>3.1044</u>	<u>2.7940</u>

გადასახადები

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში (მე-15 შენიშვნა). მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე/პარტნიორებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები საქართველოში წმინდა განაწილების 15/85 განაკვეთით. კომპანიას დივიდენდები სააღრიცხვო პერიოდში არ გაუცია. თუ განხორციელდა დივიდენდების გაცემა დივიდენდების გადახდიდან წარმოშობილი მოგების გადასახადი აღირიცხება იმ

პერიოდის ვალდებულებებსა და ხარჯებში, რომელშიც მოხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად იმისა, თუ რა თარიღში ან რომელი პერიოდისთვის ხდება დივიდენდების გადახდა. კონკრეტულ გარემოებებში შესაძლებელია გადასახდელი მოგების გადასახადში გამოქვითვების განხორციელება, რომლებიც აღირიცხება შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებით მოგების გადასახადის ხარჯის შემცირების სახით. საქართველოს საგადასახადო სისტემის ბუნებიდან გამომდინარე საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება. კომპანიის პარტნიორებისთვის გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება ხდება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებაში.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მათი აღიარება ხდება სხვა საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

სტანდარტები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ ძალაში არ შესულა

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცების თარიღამდე გამოქვეყნდა ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და ცვლილებები არსებულ სტანდარტებში, რომლებიც ანგარიშგების მიმდინარე პერიოდისთვის ჯერ არ შესულა ძალაში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ მიუღია. ასეთი სტანდარტები, რომლებიც სავარაუდოდ გავლენას მოახდენენ კომპანიაზე, ან რომელთა გავლენაც ამჟამად ფასდება, ასეთია:

ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2014 წლის ივლისში ბასსს-მა გამოსცა ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ საბოლოო ვერსია, რომელიც ანაცვლებს ბასს 39-ს „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ და ფასს 9-ის ყველა სხვა ვერსიას, და ძალაში შედის 2018 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისათვის; ამასთან, დაშვებულია უფრო ადრე გამოყენებაც. ფასს 9 ფინანსური ინსტრუმენტების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვის სამივე ასპექტს აერთიანებს: კლასიფიკაცია და შეფასება, გაუფასურება და ჰეჯირების აღრიცხვა.

კომპანია ახალ სტანდარტს მიიღებს მისი ძალაში შესვლის თარიღიდან, 2018 წლის 1 იანვრისთვის სტანდარტის მიღების სავარაუდო გავლენის აღიარებით საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე და, რამდენადაც ფასს 9 ამის შესაძლებლობას იძლევა, არ გადაიანგარიშებს შედარებად მონაცემებს. 2017 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული მონაცემების საფუძველზე კომპანია ვარაუდობს, რომ ფასს 9-ის მიღება მნიშვნელოვან გავლენას არ იქონიებს კაპიტალზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

(ა) კლასიფიკაცია და შეფასება

კომპანია ვარაუდობს, რომ ფასს (IFRS) 9-ით გათვალისწინებული გაუფასურების მოთხოვნების გამოყენება მნიშვნელოვან გავლენას არ მოახდენს თავის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე ან კაპიტალზე. კომპანია მოელის, რომ ამჟამად ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი ყველა აქტივისა და ვალდებულების შეფასებას განაგრძობს ამორტიზებული ღირებულებით.

დებიტორულ ანგარიშებს კომპანია ფლობს ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მიღების მიზნით. მოსალოდნელია, რომ დებიტორული ანგარიშები წარმოშობს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებს. კომპანიამ გააანალიზა ამ ინსტრუმენტების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ფულადი ნაკადების მახასიათებლები და დაასკვნა, რომ ისინი აკმაყოფილებენ ფასს 9-ის მიხედვით ამორტიზებული ღირებულებით შეფასების კრიტერიუმებს. შესაბამისად, საჭირო არ არის ამ ინსტრუმენტების რეკლასიფიკაცია.

(ბ) ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფასს 9-ით ასევე ძირეულად შეიცვლება მიდგომა დებიტორული ანგარიშების გაუფასურებისადმი. ეს სტანდარტი ბასს 39-ის დამდგარი ზარალის მიდგომას ჩაანაცვლებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიდგომით, რომელიც მომავალზეა ორიენტირებული. რეზერვი დაეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო თორმეტი თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, რა შემთხვევაშიც რეზერვი უნდა ეყრდნობოდეს ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში. კომპანიამ განსაზღვრა, რომ დებიტორული ანგარიშების გაუფასურების ზარალი მნიშვნელოვნად არ გაიზრდება. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მოკლევადიანი და მაღალლიკვიდური ხასიათიდან გამომდინარე, კომპანიის შეფასებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არსებითი არ იქნება.

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

ფასს (IFRS) 16 „იჯარა“ გამოიცა 2016 წლის იანვარში და ანაცვლებს ბასს (IAS) 17-ს „იჯარა“, ფაისკ (IFRIC) 4-ს „როგორ განვსაზღვროთ, შეიცავს თუ არა შეთანხმება იჯარას“, იმკ (SIC) 15-ს „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ (SIC) 27-ს „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“. ფასს (IFRS) 16-ში მოცემულია იჯარის აღიარების, შეფასების, წარდგენისა და განმარტებითი შენიშვნების პრინციპები და მოიჯარისგან მოითხოვს ყველა იჯარის აღრიცხვას ერთი საბალანსო უწყისის მოდელით, ბასს (IAS) 17-ის მიხედვით ფინანსური იჯარის აღრიცხვის ანალოგიურად. სტანდარტი ითვალისწინებს აღიარების ორ გამონაკლისს მოიჯარეებისთვის - „დაბალი ღირებულები მქონე“ აქტივების (მაგ. პერსონალური კომპიუტერები) იჯარა და მოკლევადიანი იჯარა (ე. ი. იჯარა 12- თვიანი ან ნაკლები ვადით). საიჯარო ხელშეკრულების ძალაში შესვლის

თარიღისთვის, მოიჯარე აღიარებს ვალდებულებას საიჯარო გადასახადის გადახდის თაობაზე (ე.ი. საიჯარო ვალდებულება) და აქტივს, რომელიც წარმოადგენს ძირითადი აქტივის გამოყენების უფლებას იჯარის ვადის განმავლობაში (ე.ი. აქტივი გამოყენების უფლებით).

მოიჯარეები ვალდებულები არიან ცალკე აღიარონ საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი და აქტივის გამოყენების უფლების საამორტიზაციო ხარჯი. მოიჯარეები ასევე ვალდებულები არიან, გარკვეული მოვლენების დადგომის შემთხვევაში (მაგ. იჯარის ვადის შეცვლა; სამომავლო საიჯარო გადასახადებში ცვლილება, ამ გადახდების განსაზღვრისთვის გამოყენებული მაჩვენებლის ან განაკვეთის ცვლილების გამო), ხელახლა შეაფასონ საიჯარო ვალდებულება. მოიჯარე, ჩვეულებრივ, აღიარებს საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებულ სხვაობას არსებული საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულებასთან როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას.

მეიჯარის აღრიცხვა ფასს 16-ის მიხედვით არსებითად არ განსხვავდება ბასს 17-ის თანახმად არსებული პრაქტიკისგან. მეიჯარე განაგრძობს ყველა იჯარის კლასიფიკაციას ბასს 17-ის მიხედვით დადგენილი პრინციპის ანალოგიურად და გამოიჯნავს ორი ტიპის იჯარას: საოპერაციოს და ფინანსურს.

ფასს 16 როგორც მოიჯარეებს, ისე მეიჯარეებს ავალდებულებს უფრო დეტალური განმარტებითი შენიშვნების წარმოდგენას, ვიდრე ეს ბასს 17-ის თანახმად ხდებოდა.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ნაადრევი გამოყენება, თუმცა საწარმოს მიერ ფასს 15-ის გამოყენებაზე ადრე არა. მოიჯარეს აქვს არჩევანი და შეუძლია სტანდარტი გამოიყენოს სრულად რეტროსპექტული ან მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომით. სტანდარტის გარდამავალი დებულებები გარკვეულ შეღავათებს ითვალისწინებს. 2018 წელს კომპანია შეაფასებს ფასს 16-ის პოტენციური გავლენას თავის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ფაისკ (IFRIC) ინტერპრეტაცია 22 „უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები და წინასწარი გადახდა“

ინტერპრეტაცია განმარტავს, რომ არაფულადი აქტივის ან წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული არაფულადი ვალდებულების აღიარების შეწყვეტისას შესაბამისი აქტივის, ხარჯის ან შემოსავლის (ან მისი ნაწილის) პირველად აღიარებაზე გამოსაყენებელი სპოტ სავალუტო კურსის განსაზღვრის მიზნებისთვის, ოპერაციის დღეს წარმოადგენს თარიღი, რომელშიც საწარმო პირველად აღიარებს წინასწარი გადახდიდან წარმოშობილ არაფულადი აქტივს ან არაფულად ვალდებულებას. იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს წინასწარი საზღაურის მრავალჯერად გადახდასა და მიღებას, საწარმო ვალდებულია ოპერაციის თარიღი განსაზღვროს წინასწარი საზღაურის თითოეული გადახდისა და მიღებისთვის. საწარმოებს ხსენებული ცვლილებების გამოყენება შეუძლიათ სრულად რეტროსპექტული მეთოდით.

სხვა შემთხვევაში, საწარმოს შეუძლია ინტერპრეტაცია გამოიყენოს პერსპექტიულად ყველა იმ აქტივთან, ხარჯთან და შემოსავალთან მიმართებით ამ ინტერპრეტაციის მოქმედების სფეროში, რომელთა პირველადი აღიარება მოხდა ქვემოთ მითითებულ თარიღებში ან ამ თარიღების შემდგომ:

(i) იმ საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას, ან

(ii) წინა საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში, რომელიც წარმოდგენილია შედარებადი ინფორმაციის სახით იმ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, რომელშიც საწარმო პირველად იყენებს ინტერპრეტაციას.

ინტერპრეტაცია გამოიყენება 2018 წლის 1 იანვარს ან შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ინტერპრეტაციის ძალაში შესვლამდე გამოყენება ნებადართულია და ექვემდებარება განმარტებითი შენიშვნების წარდგენას. თუმცა, ვინაიდან კომპანიის არსებული პრაქტიკა შეესაბამება ინტერპრეტაციის მოთხოვნებს, კომპანია არ მოელის რაიმე ცვლილებას თავის ფინანსურ ანგარიშგებებში.

4. ძირითადი საშუალებები

მომრაობები კომპანიის ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

(ათას ლარში)

ჯგუფი	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	ავტომობილები და საშენებლო ტრანსპორტი	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
თვითღირებულება	692	2 743	183	15 080	331	19 030
დაგროვილი ცვეთა	-	(765)	(84)	(6 660)	(43)	(7 552)
საბალანსო ღირებულება						
2016 წლის 1 იანვარს	692	1 979	99	8 420	289	11 478
შესყიდვები	596	19	7	-	84	706
გაყიდვები / ელიმინირება	-					

	(11)	(1)	-	(12)		
ცვეთის ხარჯი	(25)	(231)	(18)	(811)	(55)	(1 140)
დაგროვილი ცვეთა						
გაყიდვებზე	-	4	0	-		4
საბალანსო ღირებულება						
2016 წლის 31 დეკემბერს	1 263	1 759	87	7 609	318	11 036
შესყიდვები	-	7	8	-	4	19
გაყიდვები /ელიმინირება	-	-	-	(204)	(1)	(204)
ცვეთის ხარჯი	(46)	(226)	(21)	(796)	(65)	(1 154)
დაგროვილი ცვეთა						
გაყიდვებზე	-	-	-	111		111
საბალანსო ღირებულება	1					
2017 წლის 31 დეკემბერს	217	1 540	74	6 719	256	9 807
თვითღირებულება	1 288	2 756	198	14 876	376	19 494
დაგროვილი ცვეთა	(70)	(1 216)	(123)	(8 157)	(120)	(9 687)
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 31 დეკემბერს	1 217	1 540	74	6 719	256	9 807

5. არამატერიალური აქტივები

მოდრაობები კომპანიის არამატერიალური აქტივების საბალანსო ღირებულებაში იყო შემდეგი:

(ათას ლარში)

ჯგუფი	არამატერიალური აქტივები	სულ
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 1 იანვარს	11.83	11.83
შესყიდვები		-
გაყიდვები /ელიმინირება		-
ცვეთის ხარჯი	(1.18)	(1.18)
დაგროვილი ცვეთა გაყიდვებზე		

		-
საბალანსო ღირებულება 2016 წლის 31 დეკემბერს	10.65	10.65
შესყიდვები		-
გაყიდვები /ელიმინირება		-
ცვეთის ხარჯი	(0.98)	(0.98)
დაგროვილი ცვეთა გაყიდვებზე		-
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	9.67	9.67
თვითღირებულება	11.83	11.83
დაგროვილი ცვეთა	(2.17)	(2.17)
საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერს	9.67	9.67

6. სასაქონლო-მატერიალური მარაგები

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	სამუშაოების/მომსახურების შესასრულებელად საჭირო სს მარაგები	43.85	284.96	737.93
2	ძირითადი საშუალებების სათანადო ნაწილები	383.85	113.46	124.38
3	შესყიდული და აგს-ში შენახული საწვავი	71.41	25.11	47.55
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ		499.12	423.53	909.86

7. გადახდილი ავანსები და სხვა მიმდინარე აქტივები

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული მოთხოვნები	20.04	-	-
2	სასაქონლო-მატერიალური მარაგებზე გადახდილი ავანსები	396.43	450.80	143.69
3	მომსახურებისთვის გადახდილი ავანსები	0.15	-	45.21
4	გამოკლებული გადახდილი ავანსების გაუფასურება	(99.98)	(96.01)	
სასაქონლო-მატერიალური მარაგები, სულ		316.64	354.79	188.90

8. დებიტორული დავალიანებები

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	სავაჭრო მოთხოვნები ქართულ ლარში	1 258.17	2 820.16	8 029.34
3	გამოკლებული დებიტორული დავალიანებების გაუფასურება	(157)	(44)	-
დებიტორული დავალიანებები, სულ		1 101.21	2 820.16	8 029.34

9. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	სალაროში არსებული ნაღდი ფული	54.40	192.24	276.79
2	მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები ქართულ ლარში	337.72	4 555.67	936.09
3	მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები აშშ დოლარში	6 238.71	3 161.75	5 226.96
3	მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები ევროში	187.54	-	-
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ		6 818.37	7 909.65	6 439.84

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და ბანკში ნაღდი ფულის ნაშთისგან, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვთ ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალნი არიან სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

მოთხოვნამდე ანაბრებზე განთავსებულ ნაღდ ფულს ერიცხება საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის დეპოზიტების დღიურ განაკვეთებზე. კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის ისეთი ზარალის მიღებას, რომელიც გამოწვეულია იმ ბანკების ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

10. გაუნაწილებელი მოგება / აკუმულირებული ზარალი

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	გაუნაწილებელი მოგება / აკუმულირებული ზარალი	(72 742.46)	(63 642.98)	(63 642.98)
2	საანგარიშო წლის მოგება/ზარალი	1 295.30	(9 099.48)	
	გაუნაწილებელი მოგება / აკუმულირებული ზარალი	(71 447.16)	(72 742.46)	(63 642.98)

11. გრძელვადიანი ვალდებულებები სათაო ოფისთან

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	გრძელვადიანი ვალდებულებები სათაო ოფისთან	89,964.34	94,437.78	89,090.11
	გრძელვადიანი ვალდებულებები სათაო ოფისთან, სულ	89,964.34	94,437.78	89,090.11

12. კრედიტორული დავალიანებები

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	კრედიტორული დავალიანებები სასაქონლო მატერიალური მარაგების/ მომსახურების შეძენიდან ქართულ ლარში	41.13	188.10	1,831.61
2	კრედიტორული დავალიანებები სასაქონლო მატერიალური მარაგების/ მომსახურების შეძენიდან უცხოურ ვალუტაში	53.12	22.02	(106.90)
კრედიტორული დავალიანებები , სულ		94.25	210.12	1,724.71

ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული კრედიტორული ანგარიშები წარმოადგენს სასაქონლო-მატერიალური მარაგების და მომსახურების შეძენიდან წარმოქმნილ თანხებს, რომელთა ანგარიშსწორება მოხდება შემდეგი საანგარიშო პერიოდის დროს და არ არის ვადაგადაცილებული.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები გონივრულად უახლოვდებოდა მათ სამართლიან ღირებულებებს.

13. საგადასახადო ვალდებულებები

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016	1 იანვარი 2016 წ.
1	საგადასახადო ვალდებულებები	(59.58)	605.38	114.52
საგადასახადო ვალდებულებები, სულ		(59.58)	605.38	114.52

საგადასახადო ვალდებულებები/ავანსები წარმოადგენს საოპერაციო საქმიანობის შედეგად წარმოქმნილ ვალდებულებებსა და ზედმეტად გადახდილი სახელმწიფო გადასახადების გასაღდოებულ ღირებულებას თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

2017 წლის 31 დეკემბრის, 2016 წლის 31 დეკემბრისა და 2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ წარმოდგენილი საბალანსო ღირებულებები ზუსტად ასახავს მათ სამართლიან ღირებულებებს.

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ კომპანია აკმაყოფილებს იმ საგადასახადო მოთხოვნებს, რომლებიც მის საქმიანობას ეხება და არ არსებობს იმის რისკი, რომ შესაბამისმა ორგანოებმა ამა თუ იმ კანონის სხვაგვარი ინტერპრეტაცია მოახდინონ.

14. საოპერაციო შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	შემოსავალი შესრულებული სამუშაოებიდან / გაწეული მომსახურებიდან / მიწოდებული სასაქონლო-მატერიალური მარაგებიდან	5,472.08	10,127.77
1	ექსპორტი	251.21	-
საგადასახადო ვალდებულებები, სულ		5,723.29	10,127.77

კომპანია თავის მომხმარებლებს სთავაზობს სამშენებლო პროექტების განხორციელებას, სამშენებლო ტექნიკით მომსახურებას, საქონლის იმპორტსა და რეალიზაციას. ამასთანავე, გაიზარდა კომპანიის მომსახურების არეალი და 2017 წელს გაფორმდა ხელშეკრულება SINOHYDRO CORPORATION LIMITED-თან სასომხეთის პროექტისთვის სამშენებლო ტექნიკის იჯარასთან დაკავშირებით. განხორციელდა 4 ერთეული შპს "ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში "კუთვნილი სამშენებლო ტექნიკის დროებითი გატანა სომხეთის ტერიტორიაზე მომსახურების გაწევის მიზნით. ამ პროექტის მიმდინარეობისას კომპანიამ განახორციელა სამშენებლო მასალების ექსპორტიც.

საოპერაციო შემოსავლების შედეგად დებიტორული ანგარიშების აღიარება ხორციელდება მაშინ, როდესაც ანაზღაურებაზე უფლება უპირობო ხდება.

კომპანია იყენებს ფასს 15.121-ით გათვალისწინებულ პრაქტიკულ მეთოდს და არ წარადგენს განმარტებით შენიშვნებს შესასრულებელ ვალდებულებებზე განაწილებული ოპერაციის ღირებულების დაუკმაყოფილებელ აგრეგირებულ ოდენობაზე, რადგან კომპანიას აქვს უფლება მომხმარებლისგან მიიღოს იმ ოდენობის საზღაური, რომელიც პირდაპირ შეესაბამება კომპანიის მიერ კონკრეტული თარიღისთვის შესრულებული ვალდებულებების ღირებულებას მომხმარებლისთვის.

15. საპროცენტო შემოსავალი

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	საპროცენტო შემოსავალი	271.31	371.21
საგადასახადო ვალდებულებები, სულ		271.31	371.21

საპროცენტო შემოსავალი მოიცავს მოთხოვნამდე ანაბრებზე განთავსებულ ნაღდ ფულზე დარიცხულ საპროცენტო თანხებს. ბანკის ანგარიშებზე არსებულ ნაშთზე დარიცხული საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ყოველი საანგარიშო თვის ბოლო დღეს მოქმედი საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. საპროცენტო განაკვეთი ცვალებადია და დამოკიდებულია ბანკის დეპოზიტების დღიურ განაკვეთებზე. კომპანიის მენეჯმენტი არ მოელის ისეთი ზარალის მიღებას, რომელიც გამოწვეულია იმ ბანკების ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

16. სხვა საოპერაციო შემოსავალი

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	სხვა შემოსავალი	135.85	15.45
	სხვა შემოსავლები, სულ	135.85	15.45

სხვა შემოსავალი მოიცავს ძირითადი საშუალებების რეალიზაციით მიღებულ შემოსავლებსა და სხვა არაკლასიფიცირებულ საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებს.

17. შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების, რეალიზებული საქონლის, თვითღირებულება

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	საპროექტო ხარჯები	90.41	82.80
2	ძირითადი მასალებისა და მომსახურებების ხარჯი	3,331.84	5,463.72
3	მსხვილი ტექნიკის იჯარის და მომსახურების ხარჯები	448.82	732.16
4	საწვავის ხარჯები	246.26	657.26
	საგადასახადო ვალდებულებები, სულ	4,117.32	6,935.94

შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურების, რეალიზებული საქონლის, თვითღირებულება მოიცავს სხვადასხვა პროექტების საპროექტო, ძირითადი მასალებისა და მომსახურებების, მსხვილი ტექნიკის იჯარისა, საწვავისა და სხვა თვითღირებულებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.

18. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	1,734.02	2,335.15
	დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები, სულ	1,734.02	2,335.15

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები მოიცავს მოკლევადიანი გასამრჯელოს ვალდებულებებს (ხელფასები, ანაზღაურებადი შვებულება, ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი გასამრჯელო) და ფასდება არადისკონტირებულ საფუძველზე, რადგან ისინი აღირიცხება იმ წლის განმავლობაში, როდესაც ხდება შესაბამისი მომსახურებების გაწევა კომპანიის თანამშრომლების მიერ.

19. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	დაზღვევისა და გაუფასურების ხარჯები	133.93	181.28
2	იჯარის ხარჯი	10.56	85.30
3	კომუნალური და საკომუნიკაციო ხარჯები	35.72	33.70
4	მსუბუქი ავტომანქანების ექსპლუატაციის ხარჯები	40.38	27.68
5	საგადასახადო ხარჯი (გარდა მოგების გადასახადისა)	106.23	123.88
6	საკონსულტაციო ხარჯი	40.92	264.30
7	საოფისე ხარჯები	172.42	195.68
	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი, სულ	540.15	911.83

20. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)

#	დასახელება	2017	2016
1	სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	(2.79)	(112.93)
2	სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი	4.39	175.16
	სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი), სულ	1.60	62.23

21. კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)

(ათას ლარში)

#	დასახელება	2017	2016
1	დადებითი საკურსო სხვაობები	2,889.94	1,115.31
2	უარყოფითი საკურსო სხვაობები	(158.35)	(9,345.52)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი), სულ		2,731.59	(8,230.21)

კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი) მოიცავს ქართული ლარის გარდა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად მიღებულ შედეგებს. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

22. ფინანსური ინსტრუმენტებისთვის დამახასიათებელი რისკები

ორგანიზაციის საქმიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა ფინანსურ რისკებთან, ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს, (მათ შორის: სავალუტო, საპროცენტო განაკვეთის და სხვა ღირებულებების რისკს) საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. რისკების მართვის პოლიტიკის მიზანია ორგანიზაციის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირება, ანალიზი და მართვა, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესება, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგი. რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების გადახედვა ხდება რეგულარულად, საბაზრო გარემოში მიმდინარე ცვლილებების, შეთავაზებული პროდუქტებისა და მომსახურების და საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინების მიზნით.

ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშვება ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებებით. საანგარიშო პერიოდში ორგანიზაცია ფლობს მოკლევადიან ვალდებულებებს უცხოურ ვალუტაში მომწოდებელი კომპანიების მიმართ და გრძელვადიან ვალდებულებებს სათაო ოფისი მიმართ. 2017 წელს ორგანიზაციის სავალუტო ანგარიშებზე იყო ბრუნვა და შესაბამისად ორგანიზაციას წარმოექმნა მნიშვნელოვანი სხვაობა კურსის ცვლილებიდან გამომდინარე.

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ზარალის მიღების რისკი კონტრაგენტის მიერ დებიტორული დავალიანების დაუფარაობის შემთხვევაში. ორგანიზაციის აქტივები, პოტენციურად

ექვემდებარება საკრედიტო რისკს, რომელიც ძირითადად მოიცავს ფულად სახსრებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. აღნიშნული რისკი ორგანიზაციაში მინიმალურია, რადგან მას მნიშვნელოვანი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არ გააჩნია. ეკონომიკური საქმიანობის შედეგად წარმოქმნილი მოთხოვნებიდან საკრედიტო რისკი არ არსებობს, რადგან ამ შემოსავლების მიღება დებიტორებისგან ხდება წინასწარ ან/და ხელშეკრულების მიხედვით დადგენილ ვადებში .

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეკმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ორგანიზაციის შემდგომ ფუნქციონირებადობაზე. ლიკვიდურობის რისკის მართვა გულისხმობს საკმარისი ფულადი სახსრების და ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსების ქონას ვალდებულებების დასაფარად.

საანგარიშო პერიოდის ბოლოს ორგანიზაციის ლიკვიდურობის რისკები არ არის მაღალი ვინაიდან მნიშვნელოვანი ფინანსური ვალდებულებები გააჩნია მხოლოდ სათაო ოფისის მიმართ. არ არის იდენტიფიცირებული არსებითი სახის ვალდებულებები რომლის დაფარვასაც ორგანიზაცია ვერ შეძლებს თავისი საოპერაციო საქმიანობის პირობებში. რაც შეეხება სასესხო ვალდებულებებს, საანგარიშგებო პერიოდში ორგანიზაციას არ გააჩნია.

23. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან, განსაზღვრულია ბუღალტრული ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტში დაკავშირებული მხარეების წარდგენა, და წარმოადგენენ:

(ა) კომპანიები, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით აკონტროლებენ ორგანიზაციას, კონტროლდებიან მის მიერ ან ორგანიზაციასთან ერთად ექვემდებარებიან საერთო კონტროლს (მათ შორის, ჰოლდინგური კომპანიები, შვილობილი საწარმოები და ერთი ძირითადი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები);

(ბ) მეკავშირე საწარმოები, რომელთა საქმიანობაზე ორგანიზაციას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა და რომლებიც არ წარმოადგენენ ინვესტორის არც შვილობილ და არც ერთობლივ ორგანიზაციას;

(გ) ერთობლივი საწარმო, სადაც ორგანიზაცია არის დამფუძნებელი;

(დ) ორგანიზაციის, ან დამფუძნებელი კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა;

(ე) (ა) და (ბ) პუნქტებში აღნიშნული პირების უშუალო ოჯახის წევრები; საწარმოები, რომელთა ხმის უფლების მქონე აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი, პირდაპირ ან არაპირდაპირ ეკუთვნის იმ პირებს, რომლებიც ჩამოთვლილი არიან დ) და ე) პუნქტებში ან პირები, რომლებზეც შეუძლიათ იქონიონ მნიშვნელოვანი გავლენა.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. დაკავშირებულ მხარეებთან დადებული ყველა გარიგება განხორციელდა გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო“ წარმოადგენს უცხოური საწარმოს, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო“-ს ფილიალს საქართველოში“.

24. სასამართლო დავები

კომპანიის მენეჯმენტი ცდილობს შეამციროს ყველა შესაძლო დანაკარგი და ამ მიზეზით ბიზნესის ჩვეულებრივი ფუნქციონირების პირობებშიც კი უზღებოდა მონაწილეობის მიღება სასამართლო დავებში. კომპანიის მენეჯმენტი მუდმივად თვალყურს ადევნებს პოტენციურ სასამართლო პროცესებსა და სხვა სახის მარეგულირებელი შემოწმების რისკების წარმოქმნის შესახებ.

ა) სასამართლო დავა საავანსო თანხის დაბრუნებისა და მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე თაობაზე - შპს „სი-ემ-სი“

2016 წლის 6 ოქტომბერს, ხაშურის რაიონული სასამართლომ განიხილა საქმე №2-353-16 (130210116001431124). მოსარჩელე - შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში მოპასუხე - შპს „სი მე სი Ltd CMC“-ის წინააღმდეგ და გადაწყვიტა:

1. შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. მოპასუხე შპს „სი მე სი Ltd CMC“-ს დაეკისროს მოსარჩელე შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში სასარგებლოდ 103 219 (ას სამი ათას ორას ცხრამეტი) ლარის გადახდა;
3. მოპასუხე შპს „სი მე სი Ltd CMC“-ს დაეკისროს მოსარჩელე შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 3096 (სამი ათას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის ნაწილის გადახდა და 144 (ას ორმოცდაოთხი) ლარის სარჩელის უზრუნველყოფაზე გადახდილი ბაჟის ნაწილი;

ბ) სასამართლო დავა საიჯარო თანხის დაკისრების თაობაზე - შპს „მშენ-2020“ და პავლე გიგოლაშვილი

2017 წლის 30 ივნისს, გორის რაიონული სასამართლომ განიხილა საქმე №2/1436-16 (140210116001577391). მოსარჩელე - შპს „ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“

ფილიალი საქართველოში მოპასუხეების - შპს „მშენ-2020“-სა და პავლე გიგოლაშვილის წინააღმდეგ და გადაწყვიტა:

1. შპს „ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
2. მოპასუხე შპს „მშენ-2020“-ს დაეკისროს მოსარჩელე შპს „ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში სასარგებლოდ 71 515,13 (სამოცდათერთმეტი ათას ხუთას თხუთმეტი ლარისა და ცამეტი თეთრის) ლარის გადახდა;
3. მოპასუხე შპს „მშენ-2020“-ს დაეკისროს მოსარჩელე შპს „ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს“ ფილიალი საქართველოში სასარგებლოდ მოსარჩელის მიერ სარჩელზე და უზრუნველყოფის შესახებ შუამდგომლობაზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 2 296 (ორი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი) ლარის გადახდა;

შპს “ჩაინა ნუკლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, თბილისი
2017 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. შესავალი - ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II - საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
7. თავი V - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VI - ძირითადი რისკები.

შესავალი

ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

1.1 მიმოხილვა

შპს “ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “ (შემდგომში - „კომპანია“) არის 2012 წლის 20 ივლისს დაფუძნებული უცხოური საწარმოს ფილიალი, იურიდიული მისამართით: საქართველო, ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი, ჯავის ქ. N 5. ფილიალის დამფუძნებელი და სრული მფლობელია ჩინეთში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო, 10432201-2, 130000100000296, 01.11.1958.

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო - ს აქვს 60 წლიანი გამოცდილება პროექტირებასა და სამშენებლო საქმიანობაში.

კომპანია უწყვეტად ანხორციელებს ატომური ელექტროსადგურების მშენებლობას 30 წლის განმავლობაში.

კომპანიის საერთაშორისო სამშენებლო ტრენინგ ცენტრმა გაიარა IAEA (ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო) -ს ავტორიზაცია.

1.2 ბიზნესის სფერო

კომპანია ძირითადად ანხორციელებს ენერგეტიკულ პროექტებს, ისევე როგორც სხვადასხვა სახის სამშენებლო და საპროექტო პროექტებს ინფრასტრუქტურასა და ბინათმშენებლობის დარგებში.

1. ატომური ენერგეტიკა
2. ქიმიური მრეწველობა
3. ჰიდროენერგეტიკა
4. ალტერნატიული ენერგიის (ქარი, მზე) პროექტები
5. თბოელექტროსადგურების მშენებლობა
6. კოსმოსური პროექტები
7. ინფრასტრუქტურული პროექტები
8. ბინათმშენებლობა

თავი I

საქმიანობის ანგარიში

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების მართვა

შპს “ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში “ (შემდგომში - „კომპანია“) არის უცხოური საწარმოს ფილიალი დაფუძნებული ჩინეთში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ჩაინა ნუქლერ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს მიერ. შესაბამისად მას ენიჭება დირექტორის დანიშვნისა და კონტროლის ფუნქცია.

სათავო ოფისის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) აკონტროლოს დირექტორის საქმიანობა;
- ბ) გააკონტროლოს და შეამოწმოს საბუღალტრო წიგნები, ხელშეკრულებები, საოფისე, სასაწყობო თუ სამშენებლო ობიექტები.
- გ) შეამოწმოს წლიური ანგარიშები.

საზოგადოების დირექტორი

ფილიალის ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა

შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა

უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო

გეგმაა.

კომპანიაში ფუნქციონირებს რამდენიმე დეპარტამენტი, რომელიც ექვემდებარება დირექტორს:

1. ადმინისტრაცია
2. ფინანსური
3. საპროექტო
4. შესყიდვების
5. იურიდიული
6. ხარისხის კონტროლის
7. შრომის უსაფრთხოების

საქმიანობის მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. გზების და ხიდების მშენებლობა და რეაბილიტაცია.
2. სამშენებლო სამუშაოების განხორციელება
3. ქვიშა-ხრემის მოპოვება და გადამუშავება.
4. სამშენებლო ტექნიკის იჯარით გაცემა
5. მანქანა-მექანიზმებით მომსახურება.

საქართველოში ძირითადი პროექტები

1. ინფრასტრუქტურა - E60 ავტობანის მშენებლობა
სიგრძე 19 კილომეტრი
ღირებულება 70.75 მილიონი ლარი
პროექტის ხანგძლივობა 36 თვე



2. ალტერნატიული ენერგიის პროექტი -
20 MW ქარის ელექტროსადგურის მშენებლობა გორში
ღირებულება 4.45 მილიონი აშშ დოლარი
პროექტის ხანგძლივობა 6 თვე



ზემოთ მოყვანილი პროექტების შესრულებისას სამუშაოებს აკონტროლებს ზედამხედველობის სამსახური. მათი წარმოადგენლები ესწრებიან ყველა სამუშაო პროცესს, ასურათებენ და აოქმებენ ყველა ფარულ სამუშაოს. ყოველი თვის ბოლოს დამკვეთს წარედგინება შესრულებული სამუშაოს დამადასტურებელი ფორმა, რომლის სისწორეს ადასტურებენ ზედამხედველები. მთლიანად ობიექტი ბარდება ექსპერტიზის დასკვნით.

თავი II

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;
- სატრანსპორტო საშუალებების პარკის განახლება;

განვითარების რესურსები:

- საკმარისი ტექნიკა გვაქვს გზებზე და ხიდებზე სამუშაოდ.
- არსებული რესურსები საკმარისია სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად.
- გვაქვს საკმარისი სამუშაო გამოცდილება სოლიდური სამუშაოების საწარმოებლად
- გვაქვს საკუთარი წარმოების ბეტონი

თავი III

განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

დღევანდელი მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, მაღალტექნოლოგიური მანქანა-მექანიზმები. აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა: ბეტონის ქარხანის მდგომარეობა ახალი. მუშაობს სრულად ავტომატურ რეჟიმში. ზუსტად იცავს რეცეპტით მიცემულ ნორმებს, რაც გარანტიაა მაღალხარისხოვანი პროდუქციის წარმოებისათვის. კომპანიას გააჩნია უახლესი ბეტონის გასაგები მანქანა და ავტოპარკის სოლიდური რაოდენობა

თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადმინისტრაციის დეპარტამენტის ადამიანურ რესურსების მართვის სამსახურის თანამშრომელი.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

კომპანია აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას. კომპანიის მიზანია საზოგადოების მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა.

კომპანია ახორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

კომპანია მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე დასაქმებულთა უმეტესობა მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ამ ეტაპზე მხოლოდ ადმინისტრაციაში არიან დასაქმებულები მდედრობითი სქესის თანამშრომლები. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ ხდება გენდერული ნიშნით კადრების შერჩევა, რადგან საზოგადოებისათვის მიუღებელია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია კადრების შერჩევისას, სამუშაო ადგილზე, თუ საზოგადოების საქმიანობის განხორციელებისას, დისკრიმინაცია, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შეზღუდვით, მათ შორის გენდერული ნიშნით.

ადამიანის უფლებების დაცვა

კომპანია იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების თითოეულ ბაზაზე და სამუშაო სივრცეში განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი. ობიექტზე იმყოფებიან სამუშაოთა

მწარმოებლები, რომლებიც იზიარებენ არსებულ პასუხისმგებლობას და საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებენ ანტიკორუფციული პოლიტიკის შესაბამისად. კომპანია მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნებისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

თავი V

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- დაკვირვება გამწმენდი ნაგებობების ეფექტურ მუშაობაზე.

გარემოში მავნე ნივთიერებათა კონცენტრაციების გადაჭარბების შემთხვევაში საწარმოს ხელმძღვანელი მიიღებს შესაბამის ზომებს. საწარმოს მიერ ატმოსფერული ჰაერის მონიტორინგი იწარმოება წინასწარ დადგენილ წერტილებში.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ

ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმიწევნით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება.

ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოსდაცვის სფეროში. გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარეთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ.

სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

თავი VI

ძირითადი რისკები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა უბანზე და თითოეულ პროექტზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს. ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების დაზღვევას: დაზღვევის ობიექტია:

1. აანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიაღება ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
2. შტორმის, ციკლონის, წყალდიდობის, მეწყერის, წყლის დონის ამაღლებით და სხვა ბუნებრივი მოვლენებით გამოწვეული ზარალი.
3. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯამრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი. სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:
 - სწრაფ ბრუნვაში მყოფი მარაგების ხშირი (ყოველთვიური, კვარტალური) ინვენტარიზაცია.
 - ავტომანქანის საწვავის ავზებში დაყენებულია სპეციალური ჩიპები, რითაც კონტროლდება საწვავის წვის და ავტომანქანის მოძრაობა.
 - საქმიანი ეზოში დაყენებული ვიდეოკამერები, რომლითაც სრულად კონტროლდება ტერიტორია.
 - საქმიანი ეზოში აკრძალულია საწარმოს ავტომანქანის გარდა სხვა სატრანსპორტო საშუალების შესვლა.
 - კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად უდარდება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია ტექნიკის მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას.
 - სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
 - თუ საჭიროება მოითხოვს ჩინეთიდან ჩამოგვაქვს დაზიანებული ნაწილი
 - თუ მექანიზმის აღდგენას ჭირდება გარკვეული დრო, უბანზე ვცვლით დაგეგმილ სამუშაოებს ოპტიმალური ვარიანტით.
- პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, მეწყერი და სხვა მსგავსი, რომელსაც ვაზღვევთ სადაზღვეო კომპანიის მეშვეობით.
- ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:
- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
 - მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

შპს "ჩაინა ნუქლეარ ინდასტრი 23 ქონსტრაქშენ კო-ს ფილიალი საქართველოში "

მმართველობითი ანგარიშგება

• ვიძენთ ხარისხიან საწვავ-საცხებ მასალებს. დროულად ხდება ზეთების შეცვლა, რაც ახანგრძლივებს ნაწილების მუშა მდგომარეობაში ყოფნას.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
 - გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
 - სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
 - პასუხიმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.
- ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. ბაზრის რისკი მოიცავს სავალუტო რისკს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ გრძელვადიანი პროექტების შემთხვევაში კურსის ცვლილება

მნიშვნელოვან გავლენას ახდენს საზოგადოების ფინანსურ მდგომარეობაზე. ამ რისკის შესამცირებლად ობიექტზე საჭირო მარაგებს ვიძენთ პროექტის დაწყებისთანავე და მთელ მიღებულ ავანსს მივმართავთ ობიექტისთვის საჭირო მასალებზე. მაგრამ ეს მხოლოდ ნაწილობრივ ამცირებს რისკს.

ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს დაწესებულებაში რისკის მართვის გამართული სისტემის

ჩამოყალიბებას და ფუნქციონირებას, ხოლო შიდა აუდიტი ახდენს არსებული რისკის მართვის სისტემის შეფასებას და მის გასაუმჯობესებლად შესაბამისი რეკომენდაციების გაცემას.

მმართველობის ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2019 წლის 15 აპრილს.

დირექტორი ვანგ ჰუ

